კოლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 96 (5126)

1974 წ. 16 მაისი, ხუთშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



160 ნავით

მოსკოვის მახლობლად, კლიაზმის წყალსაცავის სარბიელზე ჩატარდა აფროსანთა საგაზაფხულო რეგატა. სპორტკლუბების „ტრუდის", „სპარტაკის", „ბურევესტნიკის", „ავროორის", „ვიმპელის", „პარუხის" აფროსნები პირველობისთვის იბრძოდნენ 160 ნავით — „კადეტებით", „დრაკონებით", „ფინებითა" და კატამარანებით.

ვ. ხუხლაევის ფოტო (საკდესი).

ოლიმპიური ყველაფერი

ეშეკოვილი

ეშეკოვილი

ეშეკოვილ

ეშეკ

ეშ

ეშ

ეშ

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

პროფტექნიკური განათლების სისტემაში საუკეთესო ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობისთვის გამართულ სა[illegible]ირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1973 წლის შედეგების მიხედვით „შრომითი რეზერვების“ საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ II ადგილი დაიკავა.

ამ დიდი წარმატებისთვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა ჩვენი რესპუბლიკური კომიტეტი გარდამავალი წითელი დროშით დააჯილდოვა. „შრომითი რეზერვების“ ცენტრალურმა საბჭომ საპატიო სიგელით დააჯილდოვა ამ საზოგადოების საქართველოს საბჭო. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფტექნიკურ-განათლების სახელმწიფო კომიტეტი და „შრომითი რეზერვების“ საქართველოს საბჭო დაჯილდოვდნენ საბჭოთა კავშირის გმირ ი. სმირნოვის სახელობის გარდამავალი პრიზით და საპატიო სიგელებით.

წარმატება მოიპოვა ჩვენმა ორმა ფიზკულტურულმა კოლექტივმა. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში III ადგილები დაიკავეს გურჯაანის რაიონის ველისციხის № 13 სასოფლო და თბილისის № 36 პროფტექნიკურმა სასწავლებლებმა.

რა იყო ამ მიღწევათა საწინდარი? პირველ ყოვლისა, გულმოდგინე მუშაობა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფტექნიკურ-განათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიისა და „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის უნარიანი ხელმძღვანელობა.

წინსვლა წარმოუდგენელი იყო ფიზაღზრდის მასწავლებელთა და მოწინავე მწვრთნელთა დიდი რაზმის დაუხმარებლად. უნდა აღვნიშნოთ, მაგალითად, თბილისის № 11 სამხატვრო სასწავლებლის კოლექტივის (დირექტორი ი. ქოიავა, ფიზაღზრდის ხელმძღვანელი — სპორტის ოსტატი ნ. ჩანტლაძე) კარგი მუშაობა. აქ დიდი სანია ტრადიციად იქცა მასობრივი ტურისტული ღონისძიებების მოწყობა, შეჯიბრებებისა და ამხანაგური შეხვედრების გამართვა სხვა სასწავლებლების სპორტსმენებთან, ლაშქრობები საბჭოთა ხალხის საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში.

ასევე კარგადაა საქმე რუსთავის № 16 სასწავლებელში (დირექტორი ბ. კალანდარიშვილი, ფიზაღზრდის ხელმძღვანელი ს. ცომაია).

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ რამდენიმე მწვრთნელის კარგი მუშაობა. ესენი არიან მ. ქელეხსაშვილი და გ. მარგიშვილი (აკრობატიკა), გ. ბარბაქაძე (კლასიკური ჭიდაობა), ნ. გაჩეჩილაძე (თავისუფალი ჭიდაობა), ო. დადუნაშვილი (ველოსპორტი), დ. ჩაჩანიძე (ძიუდო), ნ. მარდანოვი (კრივი), თ. ხუდოვი (ბატუტზე სტომა).

ამ მწვრთნელების მონდომების შედეგად შარშან ჩვენი საზოგადოების 45 სპორტსმენი საქართველოს ნაკრებ გუნდებში იყო შეყვანილი, მონაწილეობდა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში. მაგალითად, „კლასიკოსი“ ტ. კიკნაძე სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა იუნიორთა შორის, მერე კი მსოფლიო პირველობაში საპრიზო ადგილი დაიკავა. მ. ბუთხუზი სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკებს შორის, იმერლიშვილმა კი ეს წოდება ახალგაზრდულ შეჯიბრებაში მოიპოვა. საკავშირო ნაკრებში შეიყვანეს საწყლოსნო სლალომის ოსტატები ხ. ციცქიშვილი და თ. გაბრიელიანი.

ჩვენმა 14 წლის ბატუტისტმა ს. მარქარიანმა ამას წინათ გაიმარჯვა ჭაბუკთა საკავშირო პირველობაში სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით.

ეს წარმატებები განაპირობა ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად განვითარებამ ჩვენს საქალაქო და სასოფლო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

მოვიყვანთ ასეთ მონაცემებს: 1973 წელს 30 ათასზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა შეჯიბრებებში, მათ შორის პროფტექგანათლების XXVI რესპუბლიკურ სპარტაკიადაში. ამ შეჯიბრებაში ჩემპიონობა მოიპოვეს თბილისის 54-ე (ჭაბუკებს შორის) და 36-ე (გოგონებში) სასწავლებლების სპორტსმენებმა. მომზადდა 10 სპორტის ოსტატი, 36 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 217 პირველთანრიგოსანი, II და III თანრიგების 28979 სპორტსმენი.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით მშდ კომპლექსს.

რამდენიმე სიტყვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივებზე. გურჯაანის მახლობლად, ველისციხეში, მუშაობს № 13 სასოფლო პროფტექსასწავლებელი (დირექტორი დ. ჩუგუშვილი, ფიზაღზრდის ხელმძღვანელი ა. ჯალადანია). აქ მომავალი მექანიზატორები და ტრაქტორისტები ყოველ სასწავლო დღეს დილის ფიზკულტურული ვარჯიშით იწყებენ. ტარდება ფიზაღზრდის გაკვეთილები. გარდა ამისა, მოსწავლეთა თითქმის 85 პროცენტი სხვადასხვა სპორტულ სექციაშია გაერთიანებული. ამის შედეგად შარშან 342 კურსდამთავრებულიდან 278-მა სათანრიგო მოთხოვნები შეასრულა და მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშანი მიიღო.

თბილისის № 36 პროფტექსასწავლებლის (დირექტორი — სოციალისტური შრომის გმირი ვ. სოლომონია, ფიზაღზრდის ხელმძღვანელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ე. აზიზოვა) მოსწავლეთა განკარგულებაშია მძლეოსნური სექტორები, ფრენბურთის მოედანი, კეთილმოწყობილი სპორტდარბაზი.

სასწავლებელში მაღალ დონეზე დგას ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდა. ხშირად უშვებენ სპორტულ გაზეთებს, ფოტობიულეტენებს. ეწყობა საჩვენებელი გამოსვლები. ყოველ წელიწადს ახალმიღებული მოსწავლეები მოსამზადებელ ჯგუფებში ირიცხებიან საწვრთნელად. მძლეოსნობაში მეცადინეობა „შრომითი რეზერვების“ სტადიონზე ტარდება, ცურვაში — იქვე მეზობლად მდებარე აუზში. უფროსი ჯგუფების მოსწავლეები შეფობას უწევენ ახალბედებს. შედეგებიც თვალსაჩინოა: შარშან 178 კურსდამთავრებულში 152 თანრიგოსანი და მშდ კომპლექსის ნიშნოსანი იყო. ყველამ საზოგადოებრივი ინსტრუქტორის ან მსაჯის წოდება მიიღო.

ასეთი ფიზკულტურის კოლექტივები ყველასთვის სამაგალითოა.

ტ. ᲗᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ,
„შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს უფროსი ინსპექტორი.

ᲡᲐᲠᲑᲝᲚᲘ ᲑᲘᲚᲘᲙᲘ ᲓᲐ „ᲬᲕᲠᲘᲚᲛᲐᲜᲔᲑᲘ“

როცა კი თბილისის ახალ ტრეკზე გვიხდება წვრა, მუდამ ქებით ვიხსენებთ მის სარბოლ ბილიკს. ის მართლაც საკმარია, მაგრამ შეჯიბრების კარგად ჩასატარებლად მარტო სარბიელი ხომ არ კმარა. არანაკლები ყურადღება უნდა მიექცეს მაყურებლისთვის განკუთვნილ ტრიბუნებსაც, რომ არაფერი ვთქვათ თვით სპორტსმენებისთვის აუცილებელ საშხაპეებზე, გასახდელებსა და სხვა „წვრილმანებზე“.

შარშან ველოსტადიონს სარბოლი ბილიკის გარდა თითქმის არაფერი ჰქონდა. წლეულს უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ გასაკეთებელი მაინც ბევრია. ერთი მოყვარულის თქმისა არ იყოს, კარგი იქნება ველოსტადიონის ტრიბუნები ისევე სწრაფად იზრდებოდეს, როგორც სარბოლ ბილიკზე ველოსიპედისტთა სისწრაფე მატულობს.

ახლა ქალაქების ტრადიციული მატჩის მესამე დღის შესახებ. ასპარეზობა გახსნეს 4 კილომეტრზე გამოდგვნებით გუნდური რბოლის მონაწილეებმა. ყველას აჯობეს მოსკოველებმა. II ადგილი დაიკავეს ტულელებმა, III — კიეველებმა. თბილისელი ველოსიპედისტები ვ. ივანოვი, ვ. ფეტისოვი, პ. სტეცენკო და ს. სარქისოვი V ადგილს დასჯერდნენ.

3 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლა ქალთა შორის მოიგო სარკოველმა ლ. ზადორჟნაიამ — 4.09,4. მას წამით ჩამორჩა თანაქალაქელი ა. ლუკუტინა. III ადგილზე დარჩა მოსკოველი ზ. ბუზიატოვა — 4.12,7.

ამავე სახეობაში იუნიორთა შორის იმარჯვა მოსკოველმა ნ. ოსტროვსკიმ — 3.51,2. მიხი თანაქალაქელი ა. ტარასოვი მეორე იყო — 3.53,2. III ადგილზე გავიდა ტულელი ვ. კონდრატიევი — 3.59,6. თბილისელები ა. სივოქელეზოვი (4.05,8) და თ. კიკნაძე (4.10,2) შესაბამისად XII და XV ადგილებზე გავიდნენ.

კვლავ გაასარა გულშემატკივრები ახალგაზრდა თბილისელმა ველოსიპედისტმა ი. ვოლკოვმა. მან სპრინტში II საპრიზო ადგილი დაიკავა და ჩამოიტოვა იხეთი აღიარებული დიდოსტატი, როგორიცაა ლენინგრადელი ვ. სემენეცი. ვოლკოვი მხოლოდ ხარკოველ ს. კრავცოვს ჩამორჩა. XI და XII ადგილებზე გავიდნენ თბილისელები ი. შარმაზანოვი და მ. გაგნიძე.

ბოლო სახეობა იყო ჯგუფური რბოლა 100 წრეზე 33 საშუალედო ფინიშით. ყველას აჯობა ე. ხამიდულინმა (მოსკოვი). II ადგილზე გავიდა ლენინგრადელი ბ. ვორონინი, ხოლო III — ხარკოველი ბ. გოლუბნიჩი. თბილისელები ვ. ბოპოვი, ვ. ფეტისოვი და ვ. ივანოვი VI, VII და VIII ადგილებზე გავიდნენ. ეს წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

გუშინწინ, შეჯიბრების ბოლო, მეოთხე დღეს თბილისელი ველოსიპედისტების გამარჯვებით აღინიშნა გუნდური რბოლა (49,4 კმ). ა. ცხოვრებაძემ, ვ. ივანოვმა, ვ. ფეტისოვმა და ჯ. ბაქრაძემ 1:04.30,0 აჩვენეს. II ადგილზე გავიდნენ მოსკოველები, ხოლო III — ტულელები.

სპრინტერთა ჯგუფურ რბოლაში 45 წრეზე 5 საშუალედო ფინიშით გაიმარჯვა ტულელმა ვ. ვოლკოვმა. II ადგილზე გავიდა ლენინგრადელი ვ. ტემლიაკოვი, ხოლო III — ხარკოველი ი. ცელოვალნიკოვი.

იუნიორთა შორის 100 წრეზე ხუთი საშუალედო ფინიშით წყვილთა რბოლაში I და II ადგილზე გავიდნენ ტულელები: გაიმარჯვეს ა. ბარიმოვმა და ვ. ნეხლიუდოვმა, ხოლო ვ. ბულგაკოვი და ვ. კონდრატიევი მეორენი იყვნენ. III საპრიზო ადგილი ხვდათ ხარკოველებს ა. ნოვიკოვსა და ა. საბლინს.

ქალთა სპრინტის ფინალში გაიმარჯვა ტულელმა თ. პილშჩიკოვამ. მეორე იყო ლენინგრადელი სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს ეჭვ-ჩემპიონი გ. ცარიოვა, III — ტულელი ნ. ანისიმოვა.

ოთხი დღის შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ტულელებმა — 601 ქულა. II ადგილზე არიან მოსკოველები — 569, III თბილისელები — 462.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის გუნდში არ იყვნენ ველოსიპედისტი ქალები.

Ა. ᲛᲐᲮᲔᲘᲫᲔ.

* * *



ᲮᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ი. ვოლკოვი; **100 წრეზე ჯგუფური რბოლის მომენტი.**

მ. ᲖᲐᲠᲒᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ფოტოები.

ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲣᲙᲛᲐᲠᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲤᲐᲠᲘᲙᲐᲕᲔᲗᲐ ᲞᲘᲠᲐᲓ-ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

მტკიცე ხასიათი. რამდენს წერენ და ლაპარაკობენ ადამიანის ამ უდიდეს ღირსებაზე. ლაპარაკობენ და სწორიც არის, რადგან ამ თვისების უქონლად არავითარი კეთილი და დიდი საქმე არ გაკეთებულა.



არის სპორტსმენი, აქვს კარგი ფიზიკურ-ტექნიკური მონაცემები, ტაქტიკურადაც ჩინებულად აზროვნებს, მაგრამ ნებისყოფის უკმარობის გამო დიდ სარბიელზე ვერ გასულა. მაგალითისთვის შორს წასვლა როდი დაგჭირდება. დაშნით მოფარიკავე ი. ვაბერი უკვე რამდენიმე წელია იცავს საქართველოს ღირსებას საკავშირო ტურნირებში. ერთ ხახს იგი საკმაოდ ხიჭიერ, პერსპექტიულ შუშკეტერად ითვლებოდა და, უნდა ითქვას სამართლიანადაც. მაგრამ მერე, როცა საჭირო იყო უფრო ძნელი მწვერვალების დაძლევა, გამოარკვა, რომ ვახროვს საამისო ნებისყოფა არ აღმოაჩნდა. ბოლოს მან საკუთარი ძალის რწმენაც დაკარგა და „ჩვეულებრივ“, საშუალო მოფარიკავედ იქცა. დარბაზში იმვიათად მოდის, როცა მოდის, მაშინაც უხალისოდ ვარჯიშობს და აი, შედეგიც: საქართველოს ჩემპიონატში ვახროვი ფინალის მიღმა დარჩა.

ასეთი შემთხვევა მის სპორტულ ბიოგრაფიაში პირველი როდია. მეოთხედფინალში ვახროვს ჰქონდა ერთი პრინციპული შეხვედრა, რომლის წაგების გამოც ჩემპიონობისთვის ბრძოლას გაგრძელება ვერ შეძლო. თანაც წააგო ახალბედა მოფარიკავესთან.

რა არის ეს? რა თქმა უნდა, მტკიცე ხასიათის უკმარობა, უფრო სწორად, უქონლობა.

საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატის ანალიზი ტყუილად როდი დავიწყეთ მტკიცე ხასიათზე ლაპარაკით. ამ შეჯიბრებაში რამდენიმე მუშკეტერმა სწორედ მიზანსწრაფულობის, მონდომებისა და ნებისყოფის უკმარობის გამო ვერ დაიკავა შესაფერისი ადგილები სატურნირო ცხრილში.

ამაში, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა თავად სპორტსმენები არიან დამნაშავე, მაგრამ განა მარტო მათ მიუძღვით ბრალი? სად არიან მწვრთნელები, რატომ არ ზრუნავენ მოფარიკავეთა ფსიქოლოგიური მომზადებისთვის?

ჩვენი აზრით, სპორტსმენს, რომელიც წვრთნას სერიოზულად არ ეკიდება, რომელსაც არავითარი პასუხისმგებლობის გრძნობა არ გააჩნია, რესპუბლიკის ნაკრებში არაფერი ესაქმება რაგინდ კარგ შედეგებსაც აღწევდეს საქართველოს ჩემპიონატებში. თორემ რა გამოდის: შინაურ ტურნირებში მოფარიკავე როგორღაც ახერხებს მაღალი ადგილის დაკავებას, ხვდება რესპუბლიკის ნაკრებში, საკავშირო ტურნირში კი აუტსაიდერთა რიგებში ეჭცევა. ასეთი სპორტსმენები ცუდ მაგალითს აძლევენ ნორჩებს — ჩვენი სპორტის მომავალს.

ახლა თავად შეჯიბრების შესახებ.

რაპირისტ ვაკეთა პირველობაში დამსახურებულად გაიმარჯვა ახალგაზრდა, ნიჭიერმა სპორტსმენმა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ზ. მაჩაიძემ, თუმცა ამ წარმატებისთვის მას დამატებითი ბრძოლის ჩატარება მოუხდა გამოცდილ რუსთაველ ტ. ნოზაძესთან.

დაშნით ფარიკაობაში გამარჯვების დიდი შანსები ჰქონდათ გამოცდილ ოსტატებს გ. ზურაბიშვილს, თ. მანაგაძესა და ახალგაზრდა დ. დავითაშვილს. დავითაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან თავი არ დაზოგა, რათა არავისთვის დაეთმო უმაღლესი წოდება. ისევე როგორც მაჩაიძემ, მანაც დამატებითი ბრძოლის შემდეგ დასაკუთრა საქართველოს ჩემპიონობა.

Გ. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სპორტის ოსტატი.

* * *

გავაცნობთ ფინალისტებს:

ᲓᲐᲨᲜᲐ. 1. დ. დავითაშვილი (თბილისი, „ბურევესტნიკი“), 2. გ. ზურაბიშვილი (თბილისი, „დინამო“), 3. თ. მანაგაძე (თბილისი, „ბურევესტნიკი“), 4. გ. ცნობილაძე (ბათუმი, „ბურევესტნიკი“), 5. მ. ბერიძე (თბილისი, „დინამო“), 6. ნ. წულაია (ბათუმი, „დინამო“).

ᲠᲐ�პᲘᲠᲐ. ᲕᲐᲥᲔᲑᲘ. 1. ზ. მაჩაიძე (თბილისი, „ბურევესტნიკი“), 2. ტ. ნოზაძე (რუსთავი, „ბურევესტნიკი“), 3. გ. აბაშიძე (თბილისი, „ბურევესტნიკი“), 4. ი. ტკაჩენკო (რუსთავი, „ბურევესტნიკი“), 5. ი. სიდამონიძე (თბილისი, „ბურევესტნიკი“), 6. რ. გორგაძე (თბილისის განათლების განყოფილება).

პრიზიორები გუნდურ ჩათვლაში:

ᲓᲐᲨᲜᲐ. 1. თბილისი, 2. აჭარა, 3. ქუთაისი.

ᲠᲐᲪᲘᲠᲐ. ᲕᲐᲥᲔᲑᲘ. 1. თბილისი, 2. რუსთავი, 3. ქუთაისი.

ᲮᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: **დაშნით მოფარიკავეთა შეჯიბრების მომენტი.**

მ. ᲖᲐᲠᲒᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრიზი გაუთამაშებელი დარჩა

მოსკოვი. „დინამოს“ სტადიონი. 14 მაისი.

„დინამო“ (მოსკოვი)—„დინამო“ (თბილისი) 0:0.

მოსკოვი: პილგუი, ბასალაევი, ნაიულინი, კომაროვი, დოლბონოსოვი, ფუკოვი, პეტრუშინი, მახოვიკოვი, პავლენკო, ბაიდაჩნი, ევრიუუეხინი.

თბილისი: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, ყიფიანი (ლ. ნოდია).

მსაჯი ი. სერგიენკო (ხარკოვი).

გაფრთხილებული არიან ვ. კომაროვი და ვ. გუცაევი.

დუბლიორები — 2:0.

ორივე მეტოქე, საბჭოთა ფეხბურთის ორი ტრადიციული ლიდერი, წლევანდელ გათამაშებაში ერთობ არასახარბიელოდ თამაშობს. VI ტურისთვის დინამოელთა ორივე კოლექტივი ცხრილის მეორე ნახევარში იყო: მოსკოველები X, ხოლო თბილისელები ბოლო, XVI ადგილზე. ასეთ ვითარებაში გამარჯვებისთვის ბრძოლა უკიდურესად დაძაბული და შეუპოვარია სოლმე.

მაგრამ ამჯერად მატჩმა შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ორი გუნდის შეხვედრათა ისტორიას, სტატისტიკას, რომელიც აშკარად მოწმობს მოსკოველთა დიდ უპირატესობას, 1 ქულა თბილისელთა მონაპოვრად უნდა ჩაგთვალოთ.

სტუმრების შემადგენლობა ცხადყოფდა, რომ ისინი ძირითადად სწორედ ამ ქულისთვის იბრძოდნენ. დაცვა საფუძვლიანად იყო გამაგრებული, წინა ხაზზე კი მხოლოდ ორი თავდამსხმელი მოქმედებდა. პირველმა ტაიმმა თითქმის ძალიანად მინდვრის შუაგულში განვლო, სახიფათო მომენტები ნაკლებად იყო. შესვენების შემდეგ მოსკოველები შედარებით გააქტიურდნენ და დროის მეტი ნაწილი მოპირდაპირე ნახევარზე გაატარეს, თუმცა შედეგს მაინც ვერ მიაღწიეს.

დაწესებული იყო სპეციალური პრიზი მოთამაშისთვის, რომელიც პირველ გოლს გაიტანდა. მას მფლობელი არ გამოუჩნდა...

ფეხბურთის ჩემპიონატი

14 მაისს გაიმართა VI ტურის მატჩები.

„ფახთაქორი“ — „ზარია“ 4:2. ტაშკენტელმა ფეხბურთელებმა საუცხოოდ ჩაატარეს მატჩი და სსრ კავშირის უოფილ ჩემპიონს ამარცხებდნენ დიდი სხვაობით — 4:0. ანგარიში 11-მეტრიანი დარტყმით მე-14 წუთზე გახსნა ანმა. მეორე ტაიმში ხოძიპანგაისმა, ისაკოვმა და ფიოდოროვმა 62-ე წუთისთვის თითქმის ზედიზედ აიღეს ყოროშილოვგრადელთა კარი. ამის შემდეგ „ფახთაქორმა“ საქმე მოთავეულად მიიჩნია და ბაშუალება მისცა მეტოქეს (ვ. კუზნეცოვი, ვასენინი) თავი დაეწერა „მშრალი“ ანგარიშით წაგებისგან.

„ქაირათი“ — „შახტიორი“ 0:0. მთელი შეხვედრა მიმდინარეობდა დაბალ ტემპში, გაურთულებლად. მაგრამ მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე გუნდების მწვრთნელებს რაიმე უკმაყოფილება არ გამოუთქვამთ. ეტყობა, თითო ქულა ორივე მხარეს აძლევდა ხელს.

„ზენიტი“—„არარატი“ 0:0. პირველ ტაიმში ანდრიასიანს ორჯერ მიეცა ბურთის გატანის შანსი და ვერ გამოიყენა ეს შესაძლებლობანი. შესვენების შემდეგ მეტს უტევდა „ზენიტი“, მაგრამ ანგარიში მაინც არ გახსნილა.

„ქარპატი“ — ცსკა 1:1. 58-ე წუთზე ფედოტოვმა ზუსტად გამოიყენა პენალტი, ხოლო 5 წუთის შემდეგ მასპინძელთა დებიუტანტმა ბაჩიაშვილმა შესანიშნავი დარტყმით გაქვითა გოლი.

„დნეპრი“ — „ტორპედო“ 0:0. უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ ტორპედოელებმა რამდენიმეჯერ საუკეთესოდ გაითამაშეს კონტრშეტევა, რომელთა დროს თავი გამოიჩინა „დნეპრის“ მეკარემ კოლტუნმა.

„ჩერნოგორეცი“ — „დინამო“ (კიევი) 3:3. წინა ტურში კიეველებმა წააგეს ერთ დებიუტანტთან — „ნისტრუსთან“, ახლა კი ძლივს აიღეს ქულა მეორესთან — „ჩერნომორეცთან“. დინამოელებმა მე-7 წუთზე მიაღწიეს წარმატებას (ბურიაკი). ცოტა ხანში კი კარგად გათამაშებული საჯარიმო დარტყმით საპოუნიკოვმა გაათანაბრა ანგარიში. 33-ე წუთზე მასპინძელთა სწრაფი იერიში რუდაკოვის კარში გატანილი გოლით დაამთავრა როდიონოვმა, ხოლო ტაიმის ბოლო წუთზე იმავე ბურიაკმა შეძლო მეორე ბურთის გატანა — 2:2.

მეორე ნახევარში მასპინძლები ისევ დაწინაურდნენ ძიუბას ზუსტი დარტყმის შემდეგ, 76-ე წუთზე კი ბლოხინის ინდივიდუალურმა გარღვევამ დამარცხებისგან იხსნა კიეველები.

გათამაშების ცხრილი

ცსკა	
„დინამო“ (კიევი)	
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	
„ქარპატი“ (ლვოვი)	
„ქაირათი“ (ალმა-ათა)	
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	
„ჩერნოგორეცი“ (ოდესა)	
„ფახთაქორი“ (ტაშკენტი)	
„არარატი“ (ერევანი)	
„ნისტრუ“ (კიშინიოვი)	
„დინამო“ (მოსკოვი)	
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	
„შახტიორი“ (დონეცკი)	
„ტორპედო“ (მოსკოვი)	
„ზარია“ (ვოროშილოვგრადი)	
„დინამო“ (თბილისი)	



„ეკიპის“ აზრით

ბოლანდიის ნაკრების მწვრთნელს ვ. ორმონდს ზაირის გუნდი არ მოსწონს, შოტლანდიელები კი სწორედ ზაირელებთან შეხვედრით იწყებენ მსოფლიო ჩემპიონატს.

ორმონდს არ ეთანხმება ცნობილი ფრანგი სპორტული მიმომხილველი ჟ. ფერანი, რომელიც პარიზის სპორტულ გაზეთ „ეკიპში“ შემდეგს წერს:

„ზაირის ნაკრები არც ისე სუსტია, როგორც ორმონდს ჰგონია. ლეოპარდებს ბასრი კბილები აქვთ. ისინი მხოლოდ სპარინგ-პარტნიორები არ იქნებიან მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთათვის, როგორც ეს ახლა ზოგიერთს ჰგონია“.

ასაკის მიუხედავად

არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა ლ. კალმა ნაკრებში მიიწვია ბრაზილიის ქალაქ ბელუ-ორიზონტეს კლუბ „კრუზეიროში“ მოთამაშე გამოჩენილი მცველი ა. პერფიუმო. პერფიუმო 32 წლისაა, მაგრამ, ასაკის მიუხედავად, ჩინებულ ფორმაშია.

პერფიუმო არგენტინის ნაკრებში თამაშობდა ჯერ კიდევ 1966 წელს, ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატის დროს.

მწვრთნელი კმაყოფილია

ბოლონიის ნაკრები საწვრთნელი მატჩების სერიაში საკმაოდ ბევრჯერ დამარცხდა, მაგრამ მწვრთნელი კ. გურსკი მაინც კმაყოფილია.

— ჩვენ თანდათან მივიწევთ მიზნისკენ, ფეხბურთელებიც უკეთესად გამოიყურებიან, უმატებენ თამაშს. ცოტაც და ისინი ჩვეულ ფორმას მიაღწევენ.

გურსკიმ განაცხადა, რომ განსაკუთრებით კმაყოფილია ნახევარმცველ დეიანასი და თავდამსხმელ გადოხასი.

ფილმი მსოფლიო პირველობაზე

ფეხბურთში 1974 წლის მსოფლიო პირველობაზე ფილმს გადაიღებს ინგლისელი რეჟისორი მ. ლევიხი. მასვე ეკუთვნის 1970 წელს მექსიკაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე გადაღებული ფილმი.

ეს უფლება რეჟისორმა 1 მილიონი მარკის ფასად მოიპოვა.

ქრთამი და ვოსყიდვა...

პორტუგალიელი ფეხბურთის არბიტრი ფრანსისკო ლობო 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩებში მსაჯობაზე ოცნებობდა. სპეციალისტების აზრით, მას ამ ოცნების საფუძველიც ჰქონდა: 15-წლიანი კარიერის მანძილზე ლობოს თვით ყველაზე მკაცრმა კონტროლიორებმაც კი ვერ უპოვეს რაიმე სერიოზული ნაკლი მსაჯობაში, მას კი ბევრ ძალიან ძნელ და პასუხსაგებ მატჩში უმსაჯია. მაგრამ არბიტრის ოცნებები კვამლივით გაქრა: ამას წინათ ლობო ყოველგვარი ახსნა-გამმარტების გარეშე გადაიყვანეს „მეხუთე თანრიგის თადარიგში“...

ამ ისტორიის დასაწყისი ერთი წლის წინანდელ ამბებს ემთხვევა. ლობოს უნდა ჩაეტარებინა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების საპასუხო ნახევარფინალური მატჩი, რომელშიც ერთმანეთს ხვდებოდნენ ინგლისის „დერბი ქაუნთი“ (მასპინძელი) და იტალიის „იუვენტუსი“. ამ შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე ლობოს შინ დაურეკეს. უცნობმა კაცმა, რომელიც უცხოური აქცენტით ლაპარაკობდა, ლობო ლისაბონის სასტუმრო „რიცში“ მიიწვია „იტალიელ ჯენტლმენთან“ შესახვედრად.

სასტუმროს ნომერში ტანმორჩილმა, ხანში შესულმა კაცმა, რომელიც ლობოს სოლტის გვარით გაეცნო, მსაჯს 2200 გირვანქა სტერლინგი შესთავაზა, თუ ივი „იუვენტუსის“ მიმართ „კეთილ დამოკიდებულებას“ გამოიჩენდა. „იუვენტუსის“ მოთამაშეებს მე ვუხდი ფულს და ჩემთვის დიდ შრომას არ წარმოადგენს სიაში ცხრამეტის მაგიერ ოცი გვარის ჩაწერა“, — ღიმილით თქვა სოლტიმ.

ლობოს გაგონილი ჰქონდა სოლტის სახელი. იცოდა, რომ ამ კაცზე ამბობდნენ იტალიის რამდენიმე საფეხბურთო კლუბის „იატაკქვეშა“ მენეჯერიაო. პორტუგალიელი მსაჯისთვის კი, სატელეფონო კომპანიის ინჟინრისთვის, საქმოსნის მიერ შეთავაზებული თანხა ოთხი წლის გასამრჯელოს უდრიდა.

მაგრამ არბიტრმა გაუძლო ცდუნებას. უფრო მეტიც, მან ოფიციალური პატაკით აცნობა მსაჯთა ასოციაციას ეს ამბავი და წარუდგინა ჩანაწერი სოლტისთან ტელეფონით საუბრისა, სადაც საქმოსანი თავის წინადადებას იმეორებდა.

შემდეგ კი მოვლენები უცნაურად განვითარდა. ევროპის საფეხბურთო ასოციაციების კავშირის ხელმძღვანელობა ამ კავშირის პრეზიდენტის, იტალიელი ა. ორანკის თავმჯდომარეობით ორჯერ შეიკრიბა პორტუგალიელი არბიტრის პატაკის განსახილველად. ორივეჯერ გამოითქვა აზრი, რომ აუცილებელი იყო სახქციების მიღება სოლტის წინააღმდეგ და მისი „პერსონა ნონ გრატადე“ გამოცხადება ევროპული ფეხბურთის საქმეებში. მაგრამ კონკრეტულად არაფერი გაკეთებულა...

რატომ ვერ აღდგა თემიდა ამ საქმოსნის წინააღმდეგ? იქნებ ასეთი აშკარა გულმოწყალების მიზეზი სოლტისა და... თვით ორანკის მჭიდრო კავშირი იყოს? სხვათა შორის, სოლტიმ ორანკი რამდენიმეჯერ ახსენა ლობოსთან საუბრის დროს.

არც ისე დიდი ხნის წინათ ჟურნალისტებმა სცადეს სოლტისთან შეხვედრა, მაგრამ მიზნისმენი თვალსა და ხელს შუა გაქრა. მილანის სტადიონ „სან სიროზე“ მისი ადგილი ცარიელია. სოლტი ვერც მილანში, თავის მდიდრულ სახლში იპოვეს...

თუმცა სოლტის მაინცდამაინც დიდი სიფრთხილე არ სჭირდება. უეფა-ს ხელმძღვანელობის დამოკიდებულება მისი მაქინაციებისადმი მოწმობს, რომ საქმოსანს ფაქტიურად არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. ინგლისის გაზეთები (მაგალითად, „სანდი ტაიმსი“) ტყუილად როდი წერენ, რომ მსაჯების მოსყიდვა იშვიათი შემთხვევა არ არის პროფესიულ ფეხბურთში. ისინი პირდაპირ ასახელებენ მატჩებს, როცა არბიტრებმა ქრთამი აიღეს. მაგრამ ასეთ მსაჯებს ყველაფერი შერჩათ, ის არბიტრი კი, რომელიც ბიზნესმენს არ აჭყვა თაღლითობაში, დაისაჯა. ამ მხრივ უეფა ძალიან ჰგავს თავის „უფროს დას“ — ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას. ამ ფედერაციის ხელმძღვანელობასაც ძალიან მოსწონს „დამყოლი“ მსაჯები, რომლებსაც შეუძლიათ მატჩი მათთვის სასურველი გზით წარმართონ...

მ. ოზეროვი.

ლონდონი.

მორიგი ჯირაჟების შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი ტირაჟებისა, რომლებიც 10 მაისს მოსკოვში ჩატარდა.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 2360 მანეთია (171 ბილეთი), ოთხისთვის — 55 (8487), სამისთვის—3 მანეთი (157030).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 2277 მანეთია (36 ბილეთი), ოთხისთვის — 38 (2406), სამისთვის — 3 მანეთი (43980).

მოგებული თანხა გაიცემა ცენტრალურ შემნახველ სალაროებში 21 მაისიდან 20 ივნისს ჩათვლით. (საკდესი).

ლაკვესი ოტვიოთხრობს

ᲡᲐᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲝ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲝᲑᲐ

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	6	3	2	1	11—7	8
„დინამო“ (კიევი)	6	3	2	1	9—5	8
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	6	3	2	1	8—4	8
„ქარპატი“ (ლვოვი)	6	2	3	1	7—5	7
„ქაირათი“ (ალმა-ათა)	6	2	3	1	8—7	7
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	6	1	5	0	6—5	7
„ჩერნოგორეცი“ (ოდესა)	6	1	4	1	9—9	6
„ფახთაქორი“ (ტაშკენტი)	6	2	2	2	8—8	6
„არარატი“ (ერევანი)	6	2	2	2	7—7	6
„ნისტრუ“ (კიშინიოვი)	6	2	2	2	5—6	6
„დინამო“ (მოსკოვი)	6	0	5	1	5—6	5
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	5	2	1	2	3—4	5
„შახტიორი“ (დონეცკი)	6	1	3	2	3—5	5
„ტორპედო“ (მოსკოვი)	6	1	2	3	1—4	4
„ზარია“ (ვოროშილოვგრადი)	6	0	3	3	5—9	3
„დინამო“ (თბილისი)	5	0	3	2	2—6	3

I ᲚᲘ�გᲐ

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ნეფთჩი“ (ბაქო)	7	6	1	0	9—1	13
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	7	5	0	2	13—5	10
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	7	4	2	1	10—4	10
„დინამო“ (მინსკი)	7	5	0	2	12—7	10
ასკ (დონის როსტოვი)	6	4	1	1	11—4	9
„კუზბასი“ (კემეროვო)	7	4	1	2	8—8	9
„ტავრია“ (სიმფეროპოლი)	6	3	2	1	9—3	8
„ტორპედო“ (ქუთაისი)	7	3	1	3	8—8	7
„ზვეზდა“ (პერმი)	7	3	1	3	8—9	7
„შინნიკი“ (იაროსლავლი)	7	2	3	2	7—8	7
„სპარტაკი“ (ნალჩიკი)	6	2	2	2	4—4	6
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	7	2	2	3	5—9	6
„სტროიტელი“ (ალმა-ათა)	7	2	1	4	6—8	5
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	6	2	1	3	10—13	5
„სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი)	6	1	2	3	5—5	4
„პამირი“ (დუშანბე)	7	1	2	4	6—11	4
„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)	6	1	1	4	6—10	3
„მეტალურგი“ (ლიპეცკი)	6	0	3	3	3—9	3
„უუგანი“ (კრასნოდარი)	6	1	1	4	7—14	3
„ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო)	7	0	3	4	6—13	3

მაღლობა მწვრთნელებს

პატივცემულო რედაქცია!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ბირთვის ჯერში ჩემს პირველ მწვრთნელებს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს ვ. შმაკოვსა და სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ბ. დიაჩკოვს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩემს დაოსტატებაში.

ვ. მაისურაძე.

ოდესა.

როგორც ოდესის გაზეთ „ზნამია კომუნიზმას“ 9 მაისის ნომერში დაბეჭდილ ინფორმაციაში—„რეკორდიც, ოსტატობის ნორმატივიც“ — ვკითხულობთ: ოდესის დინამოელმა ვ. მაისურაძემ ოლქის მძლეოსანთა ჩემპიონატის პირველ ტურში ბირთვი 18,62 მეტრზე ჭერა, სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა და ოლქის რეკორდიც დაამყარა.



მიზეილ ტალის საკონტინენტთაშორისო სეანსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთდროული თამაშის სეანსი, რომელიც 13 და 14 მაისს დიდოსტატმა მ. ტალმა ჩაატარა რვა დაფაზე, მეტისმეტად უჩვეულო იყო. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მოსკოვის ცენტრალური საჭადრაკო კლუბიდან ეთამაშებოდა ავსტრალიის საუკეთესო მოჭადრაკეებს, რომელთა შორის იყვნენ კანბერის ჩემპიონი კრასკე, ახალი სამხრეთ უელსის ჩემპიონი ლაურინი, ავსტრალიის ყოფილი ჩემპიონი ჰამილტონი. მათი თხოვნით ტალი თამაშობდა იმ დროს, როცა ავსტრალიაში უკვე დღე იქნებოდა, მოსკოვში კი შუაღამე გადასული იყო. პირველი სვლა (სვლები მელბურნში გადაიცემოდა ტელექსით, ხოლო ავსტრალიის სხვადასხვა კუთხეში — ტელექსითა და ტელეფონით) საბჭოთა დიდოსტატმა გააკეთა ღამის 2 საათსა და 30 წუთზე (9 საათსა და 30 წუთზე ავსტრალიის დროით).

... დილის 11 საათისთვის მოსკოვის დროით შეჯიბრება დამთავრდა. საკონტინენტთაშორისო სეანსში გაიმარჯვა ტალმა — 5,5:2,5.

ავსტრალიაში მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ყველა ქალაქში, სადაც სეანსის მონაწილენი თამაშობდნენ, იდგა სადემონსტრაციო დაფები ჭადრაკის მოყვარულებისთვის.

ლენინგრადში, სპორტის სასახლე „იუბილეინის“ სარბიელზე ამას წინათ დამთავრდა კალათბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. როგორც ვიუწყებოდით, ჩემპიონობა პირველად მოიპოვა ადგილობრივმა „სპარტაკმა“. II ადგილი დაიკავა ტტტ-მ (რიგა), III — „ურალმაშმა“ (სვერდლოვსკი).

• • •

სურათებზე: მარცხნივ — ჩემპიონატის ბოლო მატჩის ეპიზოდი. თამაშობენ „სპარტაკის“ კალათბურთელები და რიგელები (მარცხნიდან) — უ. სემიონოვა (ტტტ), ლ. შიროკოვა და ტ. კალიაგინა (ორივე — „სპარტაკი“); ქვევით — 1974 წლის ჩემპიონი — ლენინგრადის „სპარტაკი“.

ნ. ნაუმენკოვის ფოტოები (საკდესი).



ისევ დებიუტანტმა გამოიჩინა თავი

ნოიბრანდენბურგი, 14 მაისი. პოლონეთის ქალაქ შჩეცინში გუშინ გატარებული დასვენების დღის შემდეგ მშვიდობის XXVII ველორბოლის მონაწილეებმა იქვე აიღეს VII ეტაპის სტარტი, რომელსაც ფინიში უკვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ნოიბრანდენბურგში ჰქონდა.

წლევანდელ შეჯიბრებაში დებიუტანტები დიდი წარმატებით ასპარეზობენ. ამჯერადაც ასე მოხდა: 145-კილომეტრიანი ეტაპი ყველაზე სწრაფად დაფარა 22 წლის ჰოლანდიელმა ტ. სმიტმა (3:32.40 ბონიფიკაციის ჩათვლით), რომელიც პირველად მონაწილეობს მშვიდობის ველორბოლაში. II ადგილზე გავიდა პ. მატოუშეკი (ჩეხოსლოვაკია) — 3:32.50, ხოლო III — პოლონელი ს. შოზდა — 3:33.00.

საფინიშო ხაზი მეხუთემ ვ. ლიხაჩოვმა გადაკვეთა — 3:33.10.

ეტაპზე გუნდური გამარჯვება ჩეხოსლოვაკიის ველოსიპედისტებმა იზეიმეს — 10:39.10. II ადგილზე გავიდა პოლონელთა კოლექტივი (10:39.20), III — სსრ კავშირის ნაკრები (10:39.24).

ლიდერის ყვითელი მაისური პოლონელმა ტ. მიტნიკმა შეინარჩუნა. მომდევნო ადგილებზე არიან დ. გონშორეკი (გდრ) და ა. პიკუუსი.

ყველაზე აქტიური მრბოლელის ნარინჯისფერი მაისური სმიტმა ჩაიცვა — მას 25 ქულა აქვს. მისი უახლოესი მეტოქეები საბჭოთა ველოსიპედისტები პიკუუსი (14 ქულა) და ლიხაჩოვი (8) არიან.

ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲛᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

საქართველოს ვაჟთა XXXV პირველობა. XIV ტური. ე. მიქაელიანი — ე. უბილავა 0:1, მ. ჭიპაშვილი — ა. ბუსლაევი 0:1, გ. კალატოზიშვილი (ყველა — თბილისი) — ჯ. ბერაძე (წყალტუბო) 0,5:0,5, ლ. ნეურონოვი (ბათუმი) — ა. ბოკუჩავა 0:1, ე. გუფელდი (ორივე — თბილისი) — გ. ბიბილაშვილი (რუსთავი) 0,5:0,5, ა. ტუზოვსკი (სოხუმი) — კ. ჩიგოგიძე (თბილისი) 0,5:0,5. სამი პარტია გადაიდო.

14 ტურის შემდეგ ლიდერობენ: უბილავა — 10,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, გუფელდი — 10,5, რ. ჯინჯიხაშვილი — 9 (1), გ. ზაიჩიკი (ორივე — თბილისი) — 8 (1), ბუსლაევი — 8.

უბილავამ მიქაელიანთან შავებით თამაშის პრობლემა იოლად დაძლია და ინიციატივასაც დაეუფლა. როცა მისმა მხედრებმა ლაზიერთან ერთად მეტოქის მეფეს შეუტიეს, ნათელი შეიქნა, რომ უბილავა გაიმარჯვებდა. 41-ე სვლაზე მიქაელიანმა მას მოგება მიულოცა.

ლაზიერის გამბიტში ბიბილაშვილთან გუფელდმა პოზიციური უპირატესობა ვერ მიიღო. ენდშპილში რუსთაველი მოჭადრაკე ეტლით მე-2 ჰორიზონტალზე შეიჭრა. იგი მეორე ეტლის გადაყვანასაც ფიქრობდა, როცა დიდოსტატმა დაზავება შესთავაზა.

გვაოცებს სოხუმელი ოსტატის ტუზოვსკის თამაში. იგი ყველას ყაიმზე უთანხმდება ათიოდე სვლაში. თუ მეტოქე ვერ დაიყოლია, მიზანს მაინც აღწევს, ოღონდ ბრძოლით. 14 პარტიიდან ტუზოვსკიმ 13 ყაიმით დაამთავრა (ერთი წააგო). ჩიგოგიძე მას 12 სვლის შემდეგ დაუზავდა.

საქართველოს ქალთა XXXI პირველობა. XIV ტური. ჭ. გეგეჭკორი — ე. ბაშინურიძე 0:1, ლ. თანდაშვილი — ა. ჩაიკოვსკაია 0:1, ნ. გურიელი — ვ. კუპრაშვილი 1:0, ჭ. გაჩეჩილაძე — ნ. მანველოვა 0:1, ნ. იოსელიანი — ც. კობაიძე 0:1, მ. ვაჩეიშვილი (ყველა—თბილისი) — ნ. ჯანჯღავა (ცხაკაია) 0,5:0,5, ნ. ხუბულური (ონი) — მ. მამისთვალოვა (თბილისი) 0,5:0,5. ორი პარტია გადაიდო.

14 ტურის შემდეგ ლიდერობენ: კობაიძე — 11 ქულა, ჩაიკოვსკაია — 10,5, წერეთელი — 10, გაჩეჩილაძე — 9 (ყველას — 13-დან).

ლიდერები არ ცხრებიან. იოსელიანმა კობაიძის მიერ არჩეულ კარო-კანის დაცვას ძველინდური დაცვის რთული სისტემა დაუპირისპირა. მოსალოდნელი იყო უშედეგათო ბრძოლა, მაგრამ ნორჩმა მოჭადრაკემ დასაწყისშივე უსწოროდ ითამაშა და უხარისხოდ დარჩა. ეს საკმარისი იყო, რომ კობაიძეს 21-ე სვლაზე პარტია მოეგო.

ხარისხის დათმობა მოუხდა თანდაშვილსაც, როცა ჩაიკოვსკაიას იერიშს განვითარების შესაძლებლობა მისცა. ეს პარტია 31-ე სვლით დამთავრდა.

კახაბრიშვილი — წერეთლის შეხვედრა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლიდერობისთვის, ხუთსათიანი დაძაბული თამაშის შემდეგ გადაიდო.

თ. ნინოშვილი.

• • •

სურათზე: თამაშობენ საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია და პირველთანრიგოსანი ჭ. გეგეჭკორი.

მ. ზარგარიანის ფოტო.



ფიგურული ციგურაობის

საბჭოთა ოსტატები

გამოფენაზე „ექსპო-74“

◆ **მოსკოვი, 15 მაისი.** დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრინდნენ ფიგურული ციგურაობის უძლიერესი საბჭოთა ოსტატები, რომლებიც ქალაქ სპოკანში ჩავლენ, სადაც გამართულია „ექსპო-74“. წინასწარი გაანგარიშებით, საბჭოთა სპორტსმენები იქ სამჯერ გამოვლენ. ამერიკაში გაფრინდნენ: ი. როდნინა, ა. ზაიცევი, ლ. პახომოვა, ა. გორშკოვი, ნ. ლინიჩუკი, გ. კარპონოსოვი, ს. ვოლკოვი, ვ. კოვალიოვი, ი. ოვჩინიკოვი და სხვ.

ᲡᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲭᲐᲭᲐᲠᲘ-74

● **ლენინგრადი, 14 მაისი.** ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა დღეს აქ გამართულ ამხანაგურ მატჩში სსრ კავშირის ახალგაზრდულ გუნდს სძლია — 79:64 (35:30).

● **ბუდაპეშტი, 14 მაისი.** უნგრეთის არმიის სპორტკლუბ „ჰონვედის“ 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირის რინგზე უნგრეთის, განის, გდრ-ის, ბულგარეთის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების მოკრივეები გამოვიდნენ. ფინალში ოთხი საბჭოთა სპორტსმენი გავიდა და მათგან სამმა I ადგილები დაიკავა. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონმა შაილოვმა (მოსკოვის ოლქი) ამკარა უპირატესობით აჯობა უნგრელ ჩიზმადიას (მეორე საშუალო წონა). გორლოვკელმა ბაბუკიმ (ქვემსუბუქი) ქულებით სძლია რუმინელ კონდურატს, ხოლო როსტოველმა პოლტავცევმა (პირველი საშუალო) ასევე ქულებით აჯობა კეზელს (ჩეხოსლოვაკია). მეორე საშუალო წონაში ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონმა, მოსკოველმა ლემეშევმა საერთაშორისო რინგზე პირველად სცადა ბედი ქვემძიმე წონაში. დებიუტი წარუმატებელი გამოდგა: ლემეშევი ქულებით დამარცხდა ევროპის 1971 წლის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორთან ზაქსესთან (გდრ). ყურადღების ცენტრში იყო ქვემსუბუქი წონის მოკრივეთა — მრავალ წონაში ევროპის 1971 წლის ჩემპიონის ბადარისა (უნგრეთი) და კონტინენტის ამჟამინდელი ჩემპიონის ფორსტერის (გდრ) შეხვედრა. ბადარიმ მეორე რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო მეტოქე.

ᲓᲔᲕᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ

დევისის თასის ამჟამინდელი მფლობელების — ამერიკელების შემდეგ ამ საპატიო პრიზის გათამაშებას, რომელიც მსოფლიოს არაოფიციალურ გუნდურ პირველობად ითვლება, გამოაკლდნენ ავსტრალიელი ჩოგბურთელები. მათ მეკვრეერ მოუპოვებიათ გამარჯვება დევისის თასის გათამაშებამი, ამჯერად კი კალკუტაში აღმოსავლეთის ზონის ფინალური მატჩი წააგეს ინდოეთის გუნდთან — 2:3.

მასპინძლებს გადაწყვეტი ძესაძე ქულა მოუპოვა ინდოეთის ჩემპიონმა ვ. ამრიტრაჯმა. როცა მატჩის ანგარიში იყო 2:2, მან ერთეულთა დასკვნითს შეხვედრაში აჯობა ბ. გილტინანს — 6:1, 5:7, 6:4.

ახლა ინდოელები ევროპის „ბ“ ზონაში გამარჯვებულს შეხვდებიან. ამ ზონაში თამაშობენ საბჭოთა ჩოგბურთელებიც, რომლებიც ბრძოლას ნახევარფინალიდან იწყებენ. ორივე ნახევარფინალური წყვილი ცნობილია: სსრ კავშირი — იუგოსლავია და გფრ — ჩეხოსლოვაკია. ეს მატჩები ივლისში ჩატარდება, მეოთხედფინალურ შეხვედრაში დასავლეთგერმანელმა ჩოგბურთელებმა დიუსელდორფში დაამარცხეს ესპანელები — 3:2. (საკდესი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ. ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. 37). **საქართველოს ვაჟთა XXXV პირველობა. 16-20 მაისი.** 16 მაისს — XV ტური, 17-ში — XVI, 18-ში — გადადებული პარტიების დამთავრება, 19-ში — XVII, 20-ში — გადადებული პარტიების დამთავრება, პირველობის დაჯილდოება. **საქართველოს ქალთა XXXI პირველობა. 16-22 მაისი.** 16 მაისს — გადადებული პარტიების დამთავრება, 17-ში — XVI, 18-ში — XVII, 19-ში — XVIII, 20-ში — გადადებული პარტიების დამთავრება, 21-ში — XIX, 22-ში —გადადებული პარტიების დამთავრება, პირველობის დაჯილდოება. დასაწყისი 16 ს. და 30 წთ.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02577